საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/7820
15/12/2022

7820-21-2-202212151601

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“
მის: ქ. თბილისი, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ. N5 და N7

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №6477 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ვაკიჯვარში და სოფ. ცხემლისხიდში მდ. ნატანების ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- პროექტის კონსტრუქციული ნაწილი არ ემთხვევა წარმოდგენილი ჰიდროლოგიური ანგარიშის მონაცემებს. კერძოდ: ჰიდროლოგიური ანგარიშის ნაწილში საინჟინრო ჰიდროლოგიური მახასიათებლები მოცემულია კალაპოტისათვის, რომლის დატბორვის დონეები იცვლება 259,40 მ ნიშნულიდან 209,3 მ ნიშნულამდე (აბს.ნ), მაშინ როდესაც გრაფიკულ ნაწილში მაქსიმალური წყლის დონე იცვლება 409,0 მ-დან 396,4 მ-ის ფარგლებში. გარდა ამისა ტექსტურ ნაწილში მოცემულია, რომ კალაპოტის წარეცხვის საანგარიშო სიღრმე შეადგენს 4,8 მეტრს, გრაფიკულ ნაწილში კი წარეცხვის დონე შეადგენს 2,1 მეტრს, რაც საჭიროებს დაზუსტებას.
- სკრინინგის განცხადების მიხედვით, **მდინარის კალაპოტში მოეწყობა ღარი, სადაც მოექცევა მდინარის განშტოებები და მდინარე დაუბრუნდება ძველ კალაპოტს. მდინარიდან ამოღებული ხრეშოვან-ღორღოვანი მასალით შეივსება მდინარის მიერ წარეცხილი დაახლოებით 8361.72 კვადრატული მეტრი ტერიტორია.** თუმცა არ არის განხილული უშუალოდ ამ კონკრეტული საქმიანობის შესაძლო ზემოქმედება წყლის ჰაბიტატზე და საჭიროებს დაზუსტებას. ასევე დაზუსტებას საჭიროებს იქთიოფაუნაზე ზემოქმედებასთან დაკავშირებით მოცემული შემარბილებელი ღონისძიებები, სკრინინგის ანგარიშის მიხედვით: რეკომენდებულია, რომ სამშენებლო სამუშაოები არ განხორციელდეს თევზების ქვირითობის პერიოდში, თუმცა წარმოდგენილი ცხრილი 19-ის მიხედვით სახეობების ტოფობის პერიოდი

თითქმის მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობს. აუცილებელია სამშენებლო სამუშაოების ჩატარების პერიოდის დაზუსტება. გარდა ამისა, საჭიროდ მიგვაჩნია უფრო საფუძვლიანად იქნას განხილული პროექტის განხორციელებისას წყლის ჰაბიტატებზე გავრცელებული ზემოქმედება და განისაზღვროს უშუალოდ საპროექტო არეალში გავრცელებულ სახეობებზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები, ასევე მნიშვნელოვანია ანგარიშში აისახოს მონიტორინგის საკითხი.

- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციას, კერძოდ წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, **ნაპირდამცავების მშენებლობა ითვალისწინებს მდინარე ნატანების განშტოებების გადაკეტვას და მდინარის ძველ კალაპოტში დაბრუნებას. აღნიშნული ღონისძიებების გატარების შემდეგ ადგილი ექნება მდინარის კალაპოტის ნაწილის დაშრობას, რამაც შესაძლოა მდინარის იქთიოფაუნაზე იქონიოს უარყოფითი ზეგავლენა და გამოიწვიოს გარკვეული სახეობის თევზების (მდინარე ნატანებში გავრცელებული თევზის სახეობების შესახებ ინფორმაცია მოცემულია პარაგრაფში 5.4.2) დაკარგვა. მდინარის ამ მონაკვეთებში სრულად განადგურდება აქ მობინადრე მიკრო და მაკროუხერხემლოები.** ამასთან, დოკუმენტში მითითებულია, რომ **ნაპირდამცავი კედლების მოწყობის სამუშაოების გავლენა იქთიოფაუნაზე არ იქნება მნიშვნელოვანი,** რაც საჭიროებს დაზუსტებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო